



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N3**

ქ. ლანჩხუთი

14. 02. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი ნინო კიკვაძე. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** „სიყვარულის დღე“ მიულოცა კოლეგებს, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი-ქალბატონებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ამიტომ საკითხს წარადგენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი ნინო კიკვაძე. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან და საკრებულოდან შემოვიდა რიგი საკითხები. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

2. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ნ.კიკვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

13., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

14., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

15., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

16., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

17. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 23 თებერვალი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ამასთან, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ს

აკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილება.

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX ITL \times CX \times K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN=0,38 \times 1 \times 0,24 \times 100=9,12$.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ პროექტში დაშვებულია რედაქციული სახის შეცდომა, რომლის შესახებ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომაზე განაცხადა. კერძოდ, პროექტში წერია „მიკრომდებარეობის ინდექსი“, უნდა ეწეროს „მაკრომდებარეობის ინდექსი.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი

განაკვეთებით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი.

ამასთანავე, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოღებულ უნდა იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთი განისაზღვროს შემდეგნაირად:

მუხლი 1

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უპრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური

განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოანგარიშება

კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1

პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 2 პროცენტი.
- ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

1. სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20.00 ლარი;
2. სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16.00 ლარი;
- 3.სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბალე, საბოსტნე,) - 73.00 ლარი;
- 4 საკარმიდამო - 73.00 ლარი;
- 5.სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:
 - ა) სათიბი - 20.00 ლარი;
 - ბ) სამოვარი - 16.00 ლარი;
 - გ) სახნავი - 73.00 ლარი;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე

პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

- ქ. ლანჩხუთი - ტერიტორიული კოეფიციენტი-1,0; საბაზისო განაკვეთი 1 კვ. მ-ზე (ლარებში)-0,24; წლიური გადასახადის განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3x4) -0,24;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში-ტერიტორიული კოეფიციენტი-0,9; საბაზისო განაკვეთი 1 კვ. მ-ზე (ლარებში)-0,24; წლიური გადასახადის განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3x4) - 0,216;

მუხლი 7

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

- ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს.
- ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ აღნიშნული ცვლილებები ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული

საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა, **ნინო კიკვაძემ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1264761 ლარი. მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1201522 ლარს, თანადაფინანსება 63239 ლარს.

შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს კაპიტალური ტრანსფერები 1201522 ლარით და არაფინანსური აქტივების კლება 63239 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ შს სამინისტროს პროექტი: „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყნის“ ფარგლებში ხორციელდება 2 ტიპის ვიდეოკამერების შესყიდვა, კერძოდ: ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის. ამ მიზნით პროექტში მონაწილე ყველა მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ ბიუჯეტში 2017 წელს გამოყო შესაბამისი თანხა, რომლის ფარგლებშიც 2017 წელს შესყიდული იქნა სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერები, შესაბამისი რაოდენობებით და დასაწყობდა შსს-ს საწყობში. მეორე ტიპის ვიდეოკამერების - ზოგადი ხედვის ვიდეოკამერების - შესყიდვის მიზნით, 2017 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუნიციპალიტეტებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა შეთანხმება ერთობლივ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელიც მოგვიანებით ჩაიშალა, ამიტომ ყველა მუნიციპალიტეტს ეთხოვა 2018 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში გაეთვალისწინებინათ შესაბამისი საბიუჯეტო თანხები ზოგადი ხედვის ვიდეოკამერების შესასყიდად. საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან შეთანხმებით, უახლოეს მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტრო განმეორებით გამოაცხადებს ერთობლივ ელექტრონულ ტენდერს, რომლის ფარგლებშიც მოხდება ზოგადი ხედვის ვიდეოკამერების შესყიდვა, მონტაჟითა და თანმდევი 1 წლიანი მომსახურებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებსა და შსს-ს შორის გაფორმდა ახალი შეთანხმება, რომლის მიხედვით განისაზღვრა, რომ 2018 წელში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აღნიშნული კამერების შესაძენად ესაჭიროება 11530 ლარი.

მიზანშეწონილია, რომ ეს თანხა მიიმართოს ბიუჯეტში და ზოგადი ხედვის ვიდეოკამერების შექმნა მოხდეს თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილ თანხაში უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება, კაპიტალურ ტრანსფერში განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლება და ახალი ნაშთის ხარჯზე მოხდება ზოგადი ხედვის ვიდეოკამერების შესყიდვა, ტენდერს კი გამოაცხადებს სახელმწიფო.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განხორციელდა საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება,

აგრეთვე საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეებად გარდაქმნა, შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების მქონე პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 1 აპრილამდე საჯარო დაწესებულებას აქვს შედეგების კორექტირების უფლება. ნათლად შეიმჩნევა, რომ მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობები საკმაოდ მაღალია და უთანაბრდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ფუნქციურ და სამუშაო დატვირთვას. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობების გარდა, გათვალისწინებულია მათი ფუნქციების შესაბამისი ფაქტორები, როგორცაა პასუხისმგებლობა, მოვალეობათა შესრულების სირთულე, კომპეტენციები, აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს დღეს არსებული მეოთხე რანგის კორექტირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტები განაწილდნენ პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის რანგში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ერთიანი დოკუმენტი, რომელზეც იწყება ადმინისტრაციული

წარმოება და შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის განხილვა მოხდება საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, ადგილობრივ პრესაში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო მუშაობს ძველი რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სანამ არ მოხდება ახალი რეგლამენტის დამტკიცება, მანამ საკრებულომ უნდა იმუშაოს ძველი რეგლამენტის მიხედვით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, მოსახლეობისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომელი რეგლამენტის მიხედვით მუშაობს მუნიციპალიტეტის საკრებულო და თუ ამაზე მეტი შენიშვნა არ იქნება, ამას რა ჯობია. ყველა ხედავს, რომ მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის და ზოგადად, თითოეული კოლეგის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კაბინეტური სამუშაოებით, არამედ ისინი დღედაღამ მოსახლების გვერდით იმყოფებიან. ვინმეს რაიმეს გაკეთება თუ შეუძლია, ხელი უნდა შეუწყოს და თითო აგური დადოს ქვეყნის მშენებლობისთვის. მთავარია, სახელმწიფოს საქმის კეთებაში ხელი არ შეემალოს და არ არის საჭირო ჭიქაში ქარიშხლის ატეხა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ 2014 წლის 15 აგვისტოს N26 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის

განვითარების სამსახურის დებულება. აღნიშნულ სამსახურში გაერთიანებულია ქონების მართვის, სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილებები და ეკონომიკის განვითარების მთავარი სპეციალისტი. წარმოგიდგინთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2017 წელს განხორციელებულ საქმიანობის ანგარიშს მასში შემავალი განყოფილებების მიხედვით:

ქონების მართვის განყოფილება

ქონების მართვის განყოფილების მიერ სხვადასხვა საკითხზე მომზადებული იქნა: 162 მოხსენებითი ბარათი. ეკონომიკის სამინისტროდან შემოვიდა 43 წერილი. პასუხი გაეცა 43 წერილს. გუბერნიიდან შემოსულია 75 წერილი, პასუხი გაეცა 75 წერილს. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან შემოვიდა და პასუხი გაეცა 300 წერილს. შ.ს.ს ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და სხვა სტრუქტურებში მომზადდა და გაიგზავნა 80 წერილი.

ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემად და გადმოეცა საკუთრებაში 3 უძრავი ქონება. ჩატარებული იქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში არსებული ინვენტარის აღრიცხვა და მათი დანომრვა. აღრიცხული იქნა და გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს ბალანსზე ასაყვანად ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება. მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულებები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სამგზავრო ავტობუსზე და გადაეცა ა(ა)იპ „გარეო კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრს“. გაიცა 4 საკუთრების მოწმობა ბინა-ერთეულზე. ინტესიურ რეჟიმში ხდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციების მიღება, დამუშავება და პასუხის გაცემა. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სხვადასხვა სამინისტროებიდან, ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან მიღებული განცხადებებისა და წერილების განხილვა და პასუხის გაცემა. განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის და აუქციონისათვის საჭირო მასალები.

მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და მოწვეული იქნა აუდიტორი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შესაფასებლად,

შეფასებული იქნა შემდეგი ქონება:

1. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობა ნაგებობა - ს/კ 27.08.47.030
2. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფალი მიწა 35 კვ.მ - ს/კ 27.08.46.016
3. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფალი მიწა 175 კვ.მ - ს/კ 27.08.46.017
4. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი რასასრული სკოლის შენობა-ნაგებობა - ს/კ 27.08.46.022
5. მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა -ს/კ 27.01.43.002
6. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ადმინისტრაციული შენობა - ს/კ 27.09.50.282

7. ქ.ლანჩხუთი ჟორდანას ქ. 76-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. თავისუფალი მიწა -ს/კ 27.06.52.526

8. შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულში ყოფილი ფერმერთა სახლი- ს/კ 27.05.48.016

9. ქ.ლანჩხუთი ყოფილი პოლიციის შენობას/ 27.06.52.141

10. ქ.ლანჩხუთი ყოფილი სასტუმროს მე-2, მე-3 და მეოთხე სართულის ერთი კვ.მ -ს/კ 27.06.51.005

სოფლის მეურნეობის განყოფილება

2017 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება დეტალურად აწარმოებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, მოსახლეობის კუთვნილებაში მყოფ, საყანე ფართობებზე ხვნა-თესვის მიმდინარეობის პროცესებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნიადაგის დახვნითი სამუშაოები დაიწყო მიმდინარე წლის მაისის 15 რიცხვიდან და მთლიანად ხვნა-თესვის პროცესი დამთავრდა 12 ივლისისთვის, ჯამში მოიხვნა 3135 ჰა (64%) მიწის ფართობი და დაითესა 3115 ჰა(63%) მიწის ფართობი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის „თურქულს“ საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, აიცრა 4734 მსხვილი რქოსანი და 135 წვრილი რქოსანი პირუტყვი, ვაქცინაციას აწარმოებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტები, მუნიციპალიტეტის მხრიდან ვაქცინაციის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფდნენ გამგეობის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხოლო მთლიანად ვაქცინაციის პროცესებს კურირებდა გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილება.

როგორც ცნობილია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის N 588 „აზიური ფაროსანას

წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ განკარგულების ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოსახლეობის მფლობელობაში/სარგებლობაში, არსებულ თხილის ნარგავებს ჩაუტარდათ ერთჯერადი წამლობა, წამლობის ღონისძიებაზე უშუალო კონტროლს, სურსათის ეროვნული სააგენტოსთან ერთად, ახორციელებდა გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილება, ამ ღონისძიებების ჩასატარებლად განყოფილების მიერ ქ. ოზურგეთიდან ჩამოტანილი იქნა (N 588 განკარგულების ფარგლებში) სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ინსექტიციდი და სხვა საჭირო ინვენტარი. შეწამვლითი სამუშაოების ჩასატარებლად აღნიშნული ინსექტიციდი და სხვა საჭირო ინვენტარი(Soli აპარატები) გადაეცა ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის , ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის

განვითარების ცენტრს. ჯამში, ერთჯერადი შეწამვლისას დამუშავდა 1931,175 ჰა-ზე გაშენებული თხილის ნარგავები , რაზედაც შრომის ანაზღაურების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 96558, 75 ლარი. შეწამვლითი ღონისძიებები დაიწყო მიმდინარე წლის ივლისის თვიდან აგვისტოს 15 რიცხვამდე.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ აზიური ფაროსანას მავნეობა გავრცელდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზეც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით დაიწყო ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება მათ წინააღმდეგ, კერძოდ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდა სპეციალური

დანიშნულების ტექნიკის (სპეც.ავტომანქანა, სკაუტი, დაუნაფოგი) შემოყვანა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რომელთა საშუალებებითაც ხორციელდებოდა საყანე ფართობებზე მარცვლეული კულტურების ინსექტიციდებით დამუშავება, ჯამში დამუშავდა დაახლოებით 2248 ჰა საყანე ფართობები, ასევე თერმული ნისლით(სპეც.ავტომანქანა დაუნაფოგი) ხდებოდა მოსახლეობის საკარმიდამო ფართობებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში ციტრუსით გაშენებული ფართობების დამუშავება, აღნიშნულ პროცესებში, კოორდინაციის თვალსაზრისით, აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება. ასევე „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ფარგლებში, განყოფილების მიერ ქ.ოზურგეთიდან, მოსახლეობაში დასარიგებლად, ჩამოტანილი და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებისათვის, შესაბამის ადმინისტრაციული ერთეულში კომლის რაოდენობის შესაბამისად, გადაცემული იქნა 14406 ლიტრი ინსექტიციდი და ფერომონები(ფაროსანას მიმზიდველი საშუალება). სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების მიერ ხორციელდება ციტრუსის დამზადებისა და რეალიზაციის მონაცემთა დამუშავება, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დამზადებული და რეალიზებულია 235 ტონაზე მეტი ციტრუსი.

ეკონომიკა

ეკონომიკის განვითარების კუთხით მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის, რის შედეგადაც ელ. აუქციონზე მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოთხი ერთეული უძრავი ქონების განკარგვა, საიდანაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა **46875 (ორმოცდაექვსი ათას რვაასსამოცდათხუთმეტი) ლარი.**

კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ ელ. აუქციონზე: **10350 (ათი ათას სამასორმოცდაათი) ლარად** გასხვისდა ქ. ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. N4/გ-ში არსებული 90კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 27.06.56.071) **4620 (ოთხი ათას ექვსასოცი) ლარად** გასხვისდა ქ. ლანჩხუთში, ჟორდანის ქ. N76- ის მიმდებარედ არსებული 20კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 27.06.52.526). ასევე ელ. აუქციონზე სარგებლობის უფლებით:

ს.ს. "ტოდინი კონსტრუციონი ჟენერალი"-ს ფილიალი - "ტოდინი ს.პ.ა." ფილიალი თბილისი“-ს მიერ შემოთავაზებული ფასის - **29237 (ოცდაცხრა ათას ორასოცდაჩვიდმეტი) ლარის** საფუძველზე 4 (ოთხი) წლის ვადით, აღნიშნულ კომპანიას სარგებლობის უფლება გადაეცა სოფელ შუხუთში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 - 288.78 კვ.მ ფართით; შენობა-ნაგებობა N2-53.07კვ.მ ფართით; შენობა-ნაგებობა N3- 26.49კვ.მ ფართით და მასზე მიმაგრებულ 1808.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 27.05.48.016) პირობებიან აუქციონზე, სარგებლობის ფორმით - 8 (რვა) წლის ვადით გაიცა ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყონაგორაში არსებული 1764 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 203,7 კვ.მ

ფართით (ს/კ 27.04.49.450) საიდანაც ყოველწლიურად 2668 (ორი ათას ექვსასსამოცდარვა) ლარი შემოვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. გარდა ამისა, ეკონომიკის განყოფილების მიერ ხორციელდება წინა წლებში გაფორმებული სარგებლობის ხელშეკრულების შესაბამისად წინა წლების სარგებლობის საფასურის ადმინისტრირება და გადახდის კონტროლი. 2018 წლისთვის იგეგმება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

არაერთი უძრავი ქონების განკარგვა, რაც წარმოდგენილი იქნება მომდევნო წლის საპრივატიზაციო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში. ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოქმედებები, კერძოდ, მიწის მესაკუთრეთა ნაკვეთებზე, მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით, ხორციელდება ადგილზე დათვალეირების ოქმების შევსება და მათი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაგზავნა. დღეის მდგომარეობით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაგზავნილია 2469 ადგილზე დათვალეირების ოქმი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მისი ძირითადი მიზანი იქნება, რაც შეიძლება მეტი თანხა გამოიყოს, რათა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ქონება- მიწები იქნება ეს, თუ შენობა - ნაგებობები დარეგისტრირებულ იქნას და აღნიშნული სამსახური ამ კუთხით მაქსიმალურად გააგრძელებს მუშაობას.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი ანგარიში ბიუროს მიერ მიღებულ იქნას ცნობად.

ბიურომ მიიღო გაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან: არქიტექტურის განყოფილება და საპროექტო განყოფილება, რომელიც შეიქმნა 2011 წლის აპრილის თვეში. არქიტექტურის განყოფილებაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან: ურბანიზაციისა და არქიტექტურის საკითხებით, მშენებლობის ნებართვებით, შეთანხმებებისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებით. საპროექტო განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ყველა სახის მშენებლობის

პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავებით. ასევე განყოფილება მუშაობს ყველა სახის დასკვნებისა და დეფექტური აქტების მომზადებაზე, რომლებიც შეიცავს მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებს, ასევე წარმოებული მშენებლობების მდგომარეობას. არქიტექტურის განყოფილების მიერ 2017 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 39 ნებართვა, შეთანხმდა 27 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 16 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მშენებლობის მოსაკრებლის სახით შემოვიდა 16092,5 (თექვსმეტი ათას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნა-განცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2017 წლის განმავლობაში აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 700

განცხადება, რომელთაგან მომზადდა 630 დასკვნა, დამუშავების სტადიაშია 70 განცხადება. რაც შეეხება საპროექტო განყოფილებას, 2017 წლის განმავლობაში დაპროექტებული აქვს 95 ობიექტი, საერთო ღირებულებით 5208826 (ხუთი მილიონ ორასრვაათას რვაასოცდაექვსი) ლარი.

ამათგან:

1. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების 67 პროექტი ღირებულებით 1141651 (მილიონ ასორმოცდაერთიათას ექვსასორმოცდათერთმეტი) ლარი.

2. სხვადასხვა პროგრამებით გათვალისწინებული 7 პროექტი ღირებულებით 218536 (ორასთვრამეტიათას ხუთასოცდათექვსმეტი) ლარი.

3. 2017 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 14 პროექტი ღირებულებით 2790912 (ორი მილიონ შვიდასოთხომცდაათიათას ცხრაასთორმეტი) ლარი.

4. 2018 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 7 პროექტი ღირებულებით 1057727 (მილიონ ორმოცდაჩვიდმეტიათას შვიდასოცდაშვიდი) ლარი.

აღნიშნული სამუშაოების გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობებს მათი ხარისხიანად შესრულების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, დეპუტატები გააკეთებენ თავიანთ შეფასებას მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით. პირადად კი, კმაყოფილია ამ სამსახურის საქმიანობით. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ახლოსაა ამ სამსახურთან და თუკი რაიმე ჭირდება ინფრასტრუქტურული კუთხით ნიგვზიანის თემის სამ სოფელს, ეს ხალხი ახდენს სასწრაფო რეაგირებას და აკეთებს საქმეს. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს სამსახური ახორციელებს უზარმაზარ სამუშაოებს, რისთვისაც მათ მაღლობა გადაუხადა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური საქმიანობას გააგრძელებს იმავე რეჟიმში და უფრო აქტიურადაც კი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით ზოგჯერ არის გარკვეული შენიშვნები, მხოლოდ კრიტიკა არ იქნება

მართებული. ყველა მიმართულებით თითოეული მათგანი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული, არ აქვს მნიშვნელობა ოპოზიციასა და ეს თუ პოზიციას, რადგან მუნიციპალიტეტი ყველასა და საერთო გულისტკივილია, თუ რომელიმე ინფრასტრუქტურული პროექტი არ იქნება ხარისხიანად და სათანადოდ შესრულებული. ერთობლივი მსჯელობის და მუშაობის შედეგად გათვალისწინებული უნდა იქნას გამოთქმული შენიშვნები, რათა მაქსიმალურად გამოსწორდეს არსებული ხარვეზები.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მაქსიმალურად უნდა ჩაუღრმავდეს ყველა შემოსულ საკითხსა და დეტალს, რათა მოხდეს სათანადო რეაგირება. საჭიროებიდან გამომდინარე სამსახური დღედაღამ მუხლჩაუხრელად მუშაობს, არ აქვს მნიშვნელობა-შაბათი იქნება თუ კვირა, მაგრამ ეს ხალხი მართლაც ვერ გაუმკლავდება არსებულ პრობლემებს, ამიტომ აუცილებელია თითოეული მათგანი ჩაერთოს სამუშაო პროცესებში და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს აღნიშნულ სამსახურს საქმიანობაში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მართლაც რომ დატვირთულ რეჟიმში მუშაობს. მიუხედავად ამისა, სამსახურის მიმართ გარკვეული შენიშვნები გააჩნდა აუდიტს, მაგრამ ერთობლივი მუშაობით და თანადგომით უნდა მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, **ბესიკ კუპრაძე** დაეთანხმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული კუთხით ბევრი საკითხი ნამდვილად გამოსასწორებელია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი ანგარიში ბიუროს მიერ მიღებულ იქნას ცნობად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**, მან აღნიშნა, რომ ეს ცვლილება გამოიწვია ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციამ, რომლის საფუძველზე სარგო არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის ფაქტობრივი მონაცემის საშუალო მაჩვენებლის დონეს. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდა ცვლილება. კერძოდ, მერის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1900 ლარის ოდენობით, ხოლო მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1700 ლარის ოდენობით. ამასთან, უახლოეს მომავალში იგეგმება პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მიღება, რომელიც უფრო დახვეწს და დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ფორმულის მიხედვით საკასო მაჩვენებელზე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ეკუთვნოდა 1930 ლარი, მაგრამ ზღვარის დაწვეა მოხდა 1900 ლარამდე. რაც შეეხება მეორე მოადგილეს, მუნიციპალიტეტის წინა ხელმძღვანელს არ ყავდა და იყო იგივე ნიშნული, რადგან დამატება არ შეიძლებოდა, მეორე მოადგილის ხელფასი განისაზღვრა 1700 ლარით. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ამ საკითხებმა გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია და ადგილობრივ პრესაშიც გაიჟღერა ინფორმაციამ. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ეყოლება არა სამი, არამედ ორი მოადგილე და მესამე მოადგილის ხაჯზე მერიის სამსახური გაიყო ორად, მაგრამ თანამდებობების რაოდენობა არ გაცდება 13. მისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ მოყვა ასეთი ხმაური იმ საკითხს, რომ მუნიციპალიტეტის მერს ეყოლება მეორე მოადგილე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **ვლადიმერ ნანაძის** თქმით, მისთვის პრესის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მერის მოადგილეს ხელფასი მოემატა, მაშინ როცა ლანჩხუთის მერის მოადგილეს - პირიქით, მოაკლდა. ის დაინტერესდა, ნუთუ ასე აღემატება მეზობელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, რომ მერის მოადგილეების ხელფასებთან დაკავშირებით გამოიწვია ასეთი მიდგომა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსის, **ნინო კიკვაძის** განმარტებით, სარგო არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის ფაქტობრივი მონაცემის საშუალო მაჩვენებლის დონეს. წლიური ფონდი ანუ ფაქტიურად რა ხელფასი მიიღო პიროვნებამ წლის განმავლობაში, იყოფა 12-ზე და იმის მიხედვით ხდება რაოდენობის განსაზღვა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ქონდა მეტი

ხელფასი. ამასთან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იყო მოადგილის თანამდებობასთან დაკავშირებით ვაკანსიები. ყოველივე ამან გამოიწვია ასეთი სიტუაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერს საკასო მაჩვენებლის გათვალისწინებით, ხელფასი არ მომატებია, ხოლო მოადგილეს განესაზღვრა 1900 ლარი, რადგან საკასო მაჩვენებელს ვერ გაცდებოდნენ. ასეთი შეზღუდვა პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ეხება სამსახურების უფროსებს, მთავარ სპეციალისტებს და სხვა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ იქნება მიღებული ცალკე კანონი პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელიც უდაოდ დახვეწს და დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი**. მან აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ციცილო ჩხაიძემ საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვით ითხოვს ნებართვას საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი**. მან

აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ემზარ თევდორაძემ საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვით ითხოვს ნებართვას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით, ვინაიდან საკრებულოს წევრს კანონით ეკრძალება იყოს რამდენიმე კომისიის წევრი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შემდეგ

მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ ეს ცვლილებები ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, ხაჯალიის ძველი სკოლა, სადაც უნდა გაკეთდეს საბავშვო ბაღი, არის ავარიულ მდგომარეობაში და თოვლის მოსვლის შემთხვევაში შეიძლება სახურავი ჩაინგრეს. სოფელში ორი ოჯახი იმყოფება უმძიმეს სიტუაციაში და ფაქტიურად ქუჩაში არიან დარჩენილები. საკრებულოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ბარიერებია ისეთი, რომ არ მოხერხდა ისედაც გაჩანაგებული ძველი სკოლის შენობის ამ ხალხისთვის გადმოცემა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ უმოკლეს დროში მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე მივლენ და მოხდება ობიექტის დასურათება, რის შემდეგაც სამსახური მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ მისთვის მანამდე არ იყო ცნობილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ასევე აღნიშნა, რომ ხაჯალიის ახალ სკოლაში არის ე.წ. „ნავესი“, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და შეიცავს საფრთხეს. იქვე აწყვია ნაციონალების მმართველობის დროინდელი რკინიდან დამზადებული მესრები, რომლებიც საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. აუცილებელია „ნავესის“ დაშლა და დასაწყობება, რის შემდეგაც ტერიტორია შეიღობება ამ რკინის ღობეებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა კოლეგებს, რომ თუ რომელიმე შენობა-ნაგებობა არის ისეთ მდგომარეობაში, რომ საჭიროებს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ შემოწმებას, უნდა იქნას მოძიებული და აღრიცხული ერთიანად, რათა თითო-ორი შენობისთვის არ მოხდეს ექსპერტების ჩამოყვანა. თავის მხრივ, კი მუნიციპალიტეტი სათანადო წერილით მიმართავს აღნიშნულ ბიუროს, რათა მათ მიერ შემოწმებულ და შეფასებულ იქნას ასეთი ობიექტები.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძე** დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერს და აღნიშნა, რომ საკითხის მიმართ ასეთი მიდგომა ნამდვილად სწორია. მისი თქმით, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შედგენილია გრაფიკი, რომლითაც ადმინისტრაციულ ერთეულების მიხედვით ყველა სოფელში მაჟორიტარ დეპუტატებთან და აღნიშნული სამსახურის უფროსთან ერთად მოხდება ასეთი შენობების აღრიცხვა-დასურათება, კოდების მინიჭება იმის მიხედვით, ვის საკუთრებაშია - ეკონომიკის სამინისტროს თუ მუნიციპალიტეტის და კვირის ბოლოს შეიქმნება საბოლოო სურათი, რომლითაც შესაძლებელი გახდება მიზანმიმართული მოქმედება.

ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს „სიყვარულის დღე“-სთან დაკავშირებით გაკეთებული ღონისძიებებისთვის. რის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ იმყოფებოდა გრიგოლეთის ბაზაზე და დათვალიერეს ის შენობა-ნაგებობა, რომლის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 400000 ლარი. იქაურობა გაჩანაგებულ-გავერანგებულია. მართალია, პირადად ვერ ერკვევა სამშენებლო საკითხებში, მაგრამ ფრაქციის წევრს, იოსებ ჩხაიძეს ნამდვილად კარგად ესმის ეს საკითხი და შესაბამისად არის გარკვეული. ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩენილ იქნა მშენებლობის პროცესში დაშვებული დარღვევები და ასევე ის დაზიანებები, რომლებიც ობიექტს მიაღება მოუვლელი მდგომარეობის შედეგად. მისთვის ნამდვილად არ არსებობს ოპოზიცია-პოზიცია, რადგან საკითხი ეხება საქვეყნო საქმეს. დეპუტატის აზრით, ის თანხა, რაც მუნიციპალიტეტმა გამოყო ბაზის სარემონტოდ, ნამდვილად არ არის საკმარისი. ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თუ ეს შესაძლებელია დამატებით გამოიყოს ერთი იმდენი თანხა, რათა ცოტათი მაინც მოწესრიგდეს იქაურობა, რადგან 20000 ლარი ამ შემთხვევაში მიზერულია და წყალში იქნება გადაყრილი.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარეს, რომ ბაზაზე გარკვეული კუთხით მართლაც ცუდი სიტუაციაა. იმ პიროვნებებს, რომლებმაც განახორციელეს სარემონტო სამუშაოები, მუნიციპალიტეტმა მიმართა სათანადო წერილით. შესაბამისად. მათ აქვთ ვალდებულება, რომ ხუთი წლის ვადაში აღმოფხვრან ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც დაშვებული იქნა რემონტის დროს. ამას გარდა, ადგილზე ჩასული იყო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გოგი ფაცურია შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად. მათ მიერ დათვლილი იქნა, რომ ელემენტარული პირობების მოსაწესრიგებლად და იმისთვის, რათა არ მოხდეს ზედმეტი ხარჯების გაწევა ფეხბურთელების კერძო სახლებში განთავსებასთან დაკავშირებით, საჭიროა 20000 ლარის გამოყოფა.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ინფრასტრუქტურას და ინვენტარს ასევე ხელოვნურად მიაღება გარკვეული ზიანი. ამიტომ ყველამ უნდა აგოს პასუხი, თუ ვინმეს მიუძღვის რაიმე წვლილი დაზიანებების მიყენებაში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ამ კუთხით აუცილებლად ჩასატარებელია სხვანაირი მუშაობა. ფეხბურთელებს ხელმძღვანელობამ უნდა დააკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა იმის მიხედვით, თუ რომელ ოთახში გადანაწილდებიან ისინი, ინფრასტრუქტურის კუთხით იქნება ეს თუ ინვენტართან დაკავშირებით. რაიმე დაზიანების მიყენების შემთხვევაში, შესაბამისად უნდა მოხდეს მათი ხელფასის დაქვითვა.

ფრაქცია „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** თხოვნით მიმართა კოლეგებს, რომ სერიოზულად მიუდგნენ კონკრეტულ საკითს. მან აღნიშნა, რომ არის გენდერული საბჭოს წევრი, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარე გახლავთ ამ საბჭოს თავმჯდომარე. ლანჩუთი პატარა მუნიციპალიტეტია, ამიტომ ყველას ყველაფერი ესმის. დეპუტატმა მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომ ამ ეტაპისთვის არ დააკონკრეტებს, მაგრამ ზოგიერთი სამსახურის ხელმძღვანელმა მამაკაცმა კეთილი უნდა ინებოს და პატივი სცეს ჯერ კანონს და შემდეგ, თანამშრომელ ქალბატონებს, რადგან მათ ხელმძღვანელები სამსახურებში აყენებენ გაუსაძლის მდგომარეობაში. ყოველივე ამის შესახებ ფრაქცია „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარისთვის ბოლო დღეებში გახდა ცნობილი. დეპუტატის თქმით, არ აქვს უფლება ვინმეს გაფრთხილება მიცეს, მაგრამ ნებისმიერ თანამდებობის პირს, უპირველეს ყოვლისა, აქვს თმენის ვალდებულება.

მუნიციპალიტეტის მერი დაინტერესდა, საკითხი შეეხებოდა თუ არა მერიის სამსახურის უფროსებს, რაზეც დეპუტატმა განმარტა, რომ პრეტენზია მათ მიმართ არ არის გამოთქმული. ამ შემთხვევაში ზოგადად სამსახურებზე საუბრობს და კონკრეტიზაციისგან თავს შეიკავებს. ეს საკითხი აუცილებლად მისახედა. მისი თქმით, თუ ვინმეს საკადრო ცვლილებას არ აპირებენ, როგორც კი არ იქნება მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ ფრაქცია „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე მწვავედ გამოთქვამს თავის მოსაზრებას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ არ არის საჭირო დაკონკრეტება, მაგრამ ალბათ ყველაფერს ექნება თავისი ახსნა-განმარტება. თუ ვინმეს აქვს რაიმე პრეტენზია, უნდა მიეცეს საჩივრის სახე და არა ისე, ვისაც როგორ აწყობს, რადგან ხშირად გარკვეული ინფორმაცია ჭორის დონეზეა.

საკრებულოს წევრების აზრით, მითქმა-მოთქმის და ჭორების დონეზე, ფაქტების გარეშე არ შეიძლება ასეთ საკითხებზე საუბარი.

ფრაქცია „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის განცხადებით, ეს არ არის მითქმა-მოთქმა, რადგან ამის შესახებ ყველას ესმის, თუნდაც გუშინდელ ფაქტთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, აღნიშნა, რომ მისთვის ამ ფაქტების შესახებ უცნობია და აუცილებლად გაარკვევს შექმნილ სიტუაციას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ, **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჭანჭათში 5 ოჯახი ცხოვრობს მეწყერსაშიშ ზონაში. გეოლოგებიდან შესაბამისი დასკვნაც გააჩნიათ, რომ მათი სახლები საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარებიან გასახლებას. საკრებულოს წევრის თქმით, ეს ადამიანები თითქმის ყოველდღე ურეკავენ, რადგან აინტერესებთ, თუ როგორი გადაწყვეტილება მიღებული მათი საკითხის თაობაზე. ან უარი უთხრან ამ ხალხს ან მოხდეს სათანადო რეაგირება პრობლემის მოსაგვარებლად. სოფელში ერთ ოჯახს სახელმწიფომ შეუძინა სახლი, დანარჩენი 5 ოჯახისთვის კი არ ყიდულობენ. დეპუტატისთვის გაუგებარია, თუ რა ხდება. 4 წელია, რაც ასეთი გაურკვეველი სიტუაციაა. ტელევიზიაც კი ამოიყვანეს სოფელში ამ საკითხის თაობაზე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხის შესახებ მისთვის კარგადაა ცნობილი. ამ მოქალაქეებს რამდენჯერმე შეხვდა. გეოლოგების დასკვნის მიხედვით, ისინი გასახლებას ექვემდებარებიან, მაგრამ მათ მინიჭებული აქვთ 16 ქულა, ხოლო ამ ეტაპისთვის აკმაყოფილებენ იმათ, ვისაც გააჩნიათ 17 ქულა. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, რაც შეიძლება, მათი მხრიდან ყველაფერი გააკეთეს. ხელმეორედ გაიგზავნა შესაბამისი წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ საშიშროება გაიზარდა. ადგილზე პირადად არის წამყოფი. იქ ისეთი მძიმე სიტუაციაა, რომ შეიძლება 2-3 ოჯახი მთლიანად ჩაიმარხოს. მუნიციპალიტეტში ბევრი მეწყერ საშიში ზონაა, მაგრამ ასეთი გამოუვალი და მძიმე მდგომარეობა, როგორც ჭანჭათის უბანშია, არსად არ არის.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ამ მოქალაქეებს თავიდან დააწერინეს განცხადება, კიდევ ერთხელ გაიგზავნა შუამდგომლობა, სიტუაცია აიხსნა დეტალურად, რომ საშიშროება ბევრად უფრო გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ამ ოჯახებს სახლის მდგომარეობის გამო მინიჭებული აქვთ ერთიდაიგივე ინდექსი. მხოლოდ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით არიან ისინი განსხვავებული და სწორედ ამიტომ მიენიჭათ სხვადასხვა ქულები.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ქვიანში, ბერაიების უბანში 100 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი და სოფელ ნიგოთში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზა დაახლოებით 150 მეტრი სიგრძის მონაკვეთი დაზიანებულია და საჭიროებს ასფალტირებას ან ბეტონის საფარის მოწყობას.

ასევე, სოფელ ქვიანში მოსახლეობას შეძენილი აქვს 1 კილომეტრი სიგრძის წყლის გაყვანილობის მილები. 21 ოჯახის მოთხოვნაა, რომ დარჩენილი სამუშაოები შესრულდეს მუნიციპალიტეტის მიერ.

სოფელ ჯაპანაში, ბერიძეების უბანში 200 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი საჭიროებს ასფალტირებას ან ბეტონის საფარის დაგებას, ასევე გასაკეთებელია ბეტონის სანიაღვრე არხები.

სოფელ ჭყონაგორაში მოსაწესრიგებელია წყლის სათავე, სისტემაში წყალი არ არის.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომ თუ შესაძლებელია, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს ოფიციალური წერილით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასმულ იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომლებზეც მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ უნდა მოხდეს სათანადო რეაგირება, ყველას ოფიციალურად გაეცემა შესაბამისი პასუხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ 8 წლის ბავშვს უკბინა ძაღლმა. ის დაინტერესდა, როგორ იქნება ქუჩის ძაღლებთან დაკავშირებული საკითხი მოგვარებული.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად გასულები იყვნენ ქალაქში. N1 საჯარო სკოლასთან და მიმდებარე ტერიტორიაზე ნახეს მაწანწალა ძაღლები. მოხდება მათი გადაყვანა. მთავარია, რომ ეს ცხოველები უკან არ დააბრუნონ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ საუბარია დაახლოებით 50 ძაღლზე. კარგი იქნება, თუ საქმეში ჩაერთვება მერიის ზედამხედველობის სამსახური. მუნიციპალიტეტიდან შესაბამის სამსახურს მიეწოდა ინფორმაცია და სავარაუდოდ, დღეს ჩამოვლენ. ამ კუთხით საკითხს ზედამხედველობას გაუწევენ ა(ა)იპ „ლანჩხუთი სერვისი“ და მერიის წარმომადგენელი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, ძაღლებს წაიყვანენ, აცრიან, გაუკეთებენ ნიშანს და უკან დააბრუნებენ, რაც არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოგვარდება.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ არის მოთხოვნა სუფსის მიმართულებით დანიშნული ტრანსპორტი გავიდეს 15 წუთით გვიან, ასევე, მძღოლის მხრიდან გამოითქვა საყვედური, რომ მხოლოდ რამდენიმე მგზავრს ემსახურება. მუნიციპალიტეტის მერი დაინტერესდა, თუ როგორია სიტუაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, აღნიშნული ტრანსპორტის გასვლის დრო აღარ შეიცვლება. ამასთან, მგზავრების რაოდენობა ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით თანდათან მოიმატებს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით, 21 თებერვალს რეგიონში ჩამოდიან არასამთავრობო ორგანიზაცია NDI-ის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე ლანჩხუთი-ჩოხატაურის

მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი. შეხვედრა გაიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს, მაქსიმალურად ჩაერთონ ამ პროცესებში. 22 თებერვლიდან კი ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად შეხვედრები გაიმართება სოფლებში, სადაც საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობასთან ჩატარდება აგიტაციები.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

